ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 05-03/151-2023

ქ. თბილისი 2023 წელი

ერთის მხრივ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. #77) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კარლო კოპალიანის სახით (,,შემსყიდველი"), და მეორეს მხრივ - სს ,,ჰიუნდაი ავტო საქართველო" (მისამართი: აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ) (,,მიმწოდებელი"), მისი დირექტორის დავით გიორგობიანის სახით ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1.ხელშეკრულების ობიექტია სტუ–ს კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალების HYNDAI SANTAFE, სახ. ნომრით AA001CE-ს სათადარიგო ნაწილების შეძენა და მომსახურება, კერძოდ

#	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	CPV კოდი
1	წინა ღერო (სტერჟენი)მც	1 ცალი	50	50	34320000
2	წინა ღერო (სტერჟენი)მჯ	1 ცალი	50	50	34320000
3	Shell-anti ანტიფრიზის კონცენტრანტი	2 ცალი	15	30	34320000
4	რადიატორის მ/დ	1 ცალი	150	150	50112100
5	სტერჟინის შეცვლა	2 ცალი	20	40	50112100
6	სავალი ნაწილის დიაგნოსტიკა	1 ცალი	20	20	50112100

1.2. შესყიდვის განხორციელების საშუალება: გამარტივებული შესყიდვა (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ,,საქართველოს კანონის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის შესაბამისად)

2. ხელშეკრულების ფასი

2.1.ხელშეკრულების ფასი შეადგენს: 340 (სამას ორმოცი) ლარს.

2.2.ხელშეკრულების ფასი საბოლოოა და ითვალისწინებს შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე უფლებამოსილია შემსყიდველი მხარე. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას უზრუნველყოფს სტუ-ს ინფრასტრუქტურის მართვისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე ა.სოხაძე

4. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა

4.1. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა - სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მოწოდების შემდეგ, მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. ამასთან, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად).

6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

7.2. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. დავების გადაწყვეტა

9.1. მხარეთა შორის სადაო საკითხი წყდება მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 1 აგვისტომდე

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება გაფორმებულია ელექტრონულად, ,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი: სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მის: კოსტავას ქ. #77 სახელმწიფო ხაზინა ა.ა. სახაზინო კოდი 708977289 ბანკის კოდი TRESGE22 ს.კ. 211349192	მიმწოდებელი: სს ,,ჰიუნდაი ავტო საქართველო" მის: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ ს.ს. ',,თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 ა.ა GE15TB1100000110467697 ს.კ. 204478948
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კარლო კოპალიანი ----------	დირექტორი დავით გიორგობიანი ----------

HYUNDAI AVTO GEORGIA JSC

Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Date: 2023.05.05 12:58:54 +04'00'